შპს ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაკშენ

პ. ქავთარაძის №14ა, XXII სართული,

ს/კ 404870724

GEORGIAN CONTEMPORARY CONSTRUCTION LTD.

P. Kavtaradze St. #14a, XXII Floor,

I/C 404870724

28.09.2021 წ.

საექსპერტო დასკვნა

წარმოდგენილია **ქ. თბილისში, ნუმუბიძის ფერდობის II-III, IV მ/რ-ს მიმდებარედ (ნაკვეთი №60); ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა, I შესახვევი №34-ს მიმდებარედ, (სკადასტრო კოდი: 01.14.16.015.440)** მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული კონსტრუქციული პროექტი.

წარმოდგენილი პროექტი წარმოადგენს უკვე შესწავლილი პროექტის კორექტირებულ ვარიანტს და ითვალისწინებს განცხადებით **AR1844823** მოთხოვნილ ცვლილებებს, კერძოდ:

1. **მცირედით გაიზარდა სავენტილაციო შახტის გაბარიტები;**
2. **-6,60 ნიშნულზე შეიცვალა სარეკლამო აბრის გაბარიტები და მასალა ნაცვლად რკინაბეტონის რიგელებისა შეცვლილია ფოლადის მილკვადრატებით;**

შესწავლილ იქნა შენობის კორექტირებული საანგარიშო სქემა და წარმოდგენილი მუშა ნახაზები.

<u>დასკვნა:</u>

წარმოდგენილი კორექტირებული პროექტი კონსტრუქციული თვალსაზრისით უმნიშვნელოდ განსხვავდება პირველადი პროექტისაგან. წარმოდგენილი ცვლილებების გავლენა შენობის დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობაზე არ არის არსებითი. შესაბამისად, შეიძლება გაკეთდეს ცალსახად დადებითი დასკვნა, რომ კორექტირებული პროექტი (ისევე როგორც პირველადი კონსტრუქციული პროექტი) აკმაყოფილებს მდგრადობისა და სიმტკიცის შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს და სრულიად ვარგისია მშენებლობის განხორციელებისთვის.

შპს „ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაკშენ“-ის
მმართველი პარტნიორი/მთავარი ინჟინერი:

გიორგი ჩიკვაიძე
ინჟინერიის დოქტორი მშენებლობაში
ევროკოდის ექსპერტ-კონსულტანტი

შპს „ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაკშენ“-ის
კონსტრუქტორი:

გიორგი ჯავახიშვილი
ინჟინერიის მაგისტრი მშენებლობაში